

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები

"ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა"

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

თ ბ ი ლ ი ს ი
2017 წ.

1. პროგრამის აღწერა და მიზანი

2017 წელს ქართული ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა მიმართულია იმ გეგმების განხორციელებაზე, რომლებიც განსაზღვრულია ჭადრაკის განვითარების გრძელვადიან პროგრამაში და მიზნად ისახავს ქვეყანაში ჭადრაკის შემდგომ განვითარებას, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების ხარისხიან მომზადებას და მათ წარმატებულ გამოსვლას საერთაშორისო ასპარეზზე, რათა საფუძველი ჩაეყაროს მთავარი მიზნის მიღწევას - 2018 წელს საქართველოში, ბათუმში გასამართ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქალთა ნაკრების მედლებისათვის და ვაჟთა ნაკრები გუნდის ათეულში მოსახვედრად ბრძოლას. დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება სხვადასხვა საქმიანობა: ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების სრულფასოვანი მზადება და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში წარმატებული გამოსვლა, ეროვნული ჩემპიონატის, საქართველოს თასის, ასაკობრივი ჩემპიონატების და სხვა შეჯიბრებების მაღალ დონეზე ორგანიზება და ჩატარება, საკლუბო ჭადრაკის განვითარება, თბილისში და რეგიონებში ტრადიციული ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირების შენარჩუნება და განვითარება, 2017 წელს საქართველოში მსოფლიო თასის გათამაშების ჩატარება, 2017 წელს ნონა გაფრინდაშვილის თასის, საერთაშორისო ტურნირის ორგანიზება, 2018 წელს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობისათვის ინტენსიური მზადება. მაღალკვალიფიციური სპორტსმენების, მწვრთნელების და სპეციალისტების მომზადება, ნაკრები გუნდების სპორტული ეკიპირებით, ინვენტარით და ხარისხიანი სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფა, ჭადრაკის პოპულარიზაციაზე მიმართული სხვადასხვა პროგრამების (ჭადრაკი სკოლებში, ბავშვთა ფესტივალები, რეგიონებში ჭადრაკის განვითარება) განხორციელებით სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა ინტეგრაცია და მათში ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრება, ჭადრაკის პოპულარობის გაზრდის მიზნით მედია მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება.

პროგრამის ამოცანები

პროგრამის ფარგლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას დასახული აქვს შემდეგი ამოცანები:

საქართველოში ჭადრაკის პოპულარობის ამაღლება, საქართველოს როგორც მსოფლიო საჭადრაკო ცენტრად გადაქცევა.

ეროვნული ნაკრებების (ვაჟები, ქალები) წარმატებით გამოსვლა 2017 წლის ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, ევროპის ვაჟთა და ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატებზე, ასაკობრივი ნაკრები გუნდების ხარისხიანი მომზადება და მათი მონაწილეობა ევროპისა და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებში, წარმატებული გამოსვლა 2017 წლის მსოფლიოს 16-წლამდე ოლიმპიადაზე, სენიორებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, საქართველოში ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (ნონა გაფრინდაშვილის, მაია ჩიბურდანიძის, ნანა ალექსანდრიას თასი), საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის მხარდაჭერა, საქართველოს გრან პრის ორგანიზება სწრაფ ჭადრაკსა და ბლიცში, საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატების რეგიონებში მაღალ დონეზე ჩატარება, ახალგაზრდული ტურნირების ორგანიზება ეროვნული ნაკრებისათვის ღირსეული რეზერვის მზადების მიზნით.

2017 წლის საქართველოში გასამართ ფიდეს მსოფლიო თასის მაღალ დონეზე ჩასატარებლად საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვა.

საზოგადოების მაღალი ინფორმირებულობა ქართულ ჭადრაკში მიმდინარე პროცესებზე, ჭადრაკის პოპულარიზაციაზე მიმართული სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, ჭადრაკის, როგორც წარმატებული პროდუქტის შექმნა, რომელიც მიმზიდველი იქნება ბიზნესისათვის ინვესტიციების განსახორციელებლად.

ვეტერან მოჭადრაკეთა დახმარება.

სხვადასხვა სახის საერთაშორისო სემინარებში, კონგრესებში, გადასამზადებელ კურსებში მონაწილეობა.

წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

პროგრამის შესრულების ვადები

დაწყება: 2017 წლის 1 იანვარი

დასრულება: 2017 წლის 31 დეკემბერი

საერთო ღირებულება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამის ასიგნება შეადგენს 4 320 799 ლარს, რომელიც ძირითადად მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

მსოფლიოს თასის გათამაშების საორგანიზაციო ხარჯი

ეროვნული ნაკრები

ეროვნული ნაკრების წარმატებით გამოსვლა 2017 წლის ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, ევროპისა და მსოფლიოს ინდივიდუალურ ჩემპიონატებზე, მსოფლიოს თასზე.

ნაკრების მოთამაშეთა დაზღვევა

ეროვნული ნაკრების ეკიპირება

ლეგიონერთა და უცხოელ მწვრთნელთა მგზავრობით და შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფა

ეროვნული ნაკრების საწვრთნელი შეკრებები

ეროვნული ნაკრების წევრების საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა

ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მისი ასისტენტების, მენეჯერების, ნაკრებების წევრების და სხვა პერსონალის საკონტრაქტო ანაზღაურება

სამედიცინო მომსახურეობა და საჭირო მედიკამენტების ხარჯების გაწევა

ასაკობრივი ნაკრები გუნდები

საქართველოს ახალგაზრდული: 20 წლამდე მსოფლიოს ინდივიდუალური ჩემპიონატი, 8-18 წლამდელთა 2017 წლის ევროპის და მსოფლიოს ინდივიდუალური ჩემპიონატი, 16 წლამდელთა 2017 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა ეკიპირება.

საწვრთნელი შეკრებები.

საერთაშორისო ტურნირები და ფესტივალები.

ასაკობრივი ნაკრებების მთავარი მწვრთნელების და ასისტენტების, მენეჯერების და სხვა პერსონალის ანაზღაურება.

მგზავრობის, ცხოვრების, სამედიცინო მომსახურეობისა და სხვა ხარჯების ანაზღაურება.

ეროვნული ჩემპიონატი, კლუბების მხარდაჭერის პროგრამა

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილე კლუბების ფინანსური დახმარება.

სათამაშო დარბაზების იჯარა.

ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების მსაჯების, მსაჯი-მდივნების და სხვა პერსონალის ანაზღაურება.

ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების პირდაპირი ლაივ ტრანსლაციების ხარჯების დაფარვა.

საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები (ვაჟები, გოგონები)

20-წლამდელები

18-წლამდელები

16-წლამდელები
14-წლამდელები
12-წლამდელები
10-წლამდელები
8-წლამდელები

ასაკობრივი ჩემპიონატების მსაჯების, მსაჯი-მდივნების და სხვა პერსონალის ანაზღაურება.

თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო აკადემია

ჭადრაკის აკადემიის უმთავრესი მიზანია მაღალკვალიფიციური დახმარების აღმოჩენა მოჭადრაკეების, მწვრთნელების, მსაჯების, კვალიფიკაციის ამაღლების და ლიცენზირების ეფექტური სისტემის შექმნა.

ეროვნული ნაკრებების უზრუნველყოფა მაღალი კლასის სპორტსმენებით, მწვრთნელებით. მთელი ქვეყნის მასშტაბით ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენისა და სათანადო სწავლების გზით.

ჭადრაკის აკადემიის მწვრთნელების, მოწვეული ლექტორების, მენეჯერების და სხვა პერსონალის საკონტრაქტო ანაზღაურება.

სასწავლო ვიდეო და ბეჭდვითი პროდუქციის შექმნის და ხარჯების გაწევა.

ქართული ჭადრაკის ამსახველი ვიდეო მასალების დაარქივება.

ჭადრაკის მედია-მხარდაჭერის პროგრამა

შიდა ჩემპიონატის თამაშების გაშუქება სატელევიზიო და ინტერნეტ ეთერებით (პირდაპირი გადმოცემა, ვიდეორეპორტაჟები, ვიდეომიმოხილვების დამზადება)

მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატების, სატელევიზიო და ინტერნეტ ეთერებით გაშუქება.

ძირითად სათამაშო დარაბაზებზე ინტერნეტ უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტა.

სპორტული პრესის წარმომადგენლების მივლინება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების გასაშუქებლად.

ჭადრაკის ინფრასტრუქტურა

ჭადრაკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, ინვენტარისა და აღჭურვილობის შექმნის, განბაჟებისა და მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამის განხორციელების მენეჯმენტი

ფედერაციის პროგრამების ხელმძღვანელებისა და სხვა პერსონალის ანაზღაურება.

ვეტერან მოჭადრაკეთა მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებებზე.

გამოჩენილი მოჭადრაკეების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირების და სხვა ღონისძიებების გამართვა.

ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით ფედერაციის ვებ-გვერდებისა და ლაივ ტრანსლიაციების ტექნიკური აღჭურვა და მომსახურების უზრუნველყოფა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საქმიანობის ხელშეწყობა, ამ მხრივ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და გამოცემა.

4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

შედეგები:

ეროვნული ნაკრების წარმატებით გამოსვლა საქართველოში გასამართ 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე.

ასაკობრივი ნაკრები გუნდების წარმატებით ასპარეზობა საერთაშორისო სარბიელზე, ეროვნული ნაკრებისათვის ღირსეული რეზერვის მზადების კუთხით.

საერთაშორისო ტურნირებზე მიღწეული პოზიციების გამყარება და გაუმჯობესება.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლება და საკლუბო სისტემის განვითარება.

ასაკობრივი ჩემპიონატების დონის ამაღლება.

საწვრთნელი და სათამაშო პროცესების ხარისხის და პირობების გაუმჯობესება.

მოთამაშეთა, მწრთვანთა, მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ჭადრაკის პოპულარობის ზრდა რაც, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის, მათი ფიზიკურად და სულიერად ძლიერ ადამიანებად აღზრდისათვის.

ინდიკატორები:

- კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულების მაჩვენებელი;
- საერთაშორისო ასპარეზობებზე მოპოვებული შედეგები;
- პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების და ბენეფიციარების ჩართულობის მაჩვენებელი;